

კორუპციის საფრთხე

წასი 1 ლარი №15 28 მაისი - 4 ოცობის 2018 წელი ბამოლის სამშაბათობით


**ფოთის მერმა
ქურნალისტებს
ექვსთვიანი
მუშაობის ანგარიში
ჩააბარა** 33. 3

**ლევან
კუპრაიშვილი:
„აღამიანი, რომელიც
ქრიაში ღვას და
ზრუნავს ქალაქის
იარ-სახეზე, მათი
შრომა უნდა იყოს
დაფასებული„,
„მეტი შედეგისთვის მეტი
შრომაა საჭირო„** 33. 3

**„სოსილურად
დაუცველი ვარ და
კანონიც ვერ
მიცავენ„**

**სოსილურად დაუცველი
სამართლებრივ
დაუცველობაზე
საუბრობს** 33. 5

**შენ ჯერ ებ არ
ბინახავს?**



**აქ გვიპოვი ჩვენ
www.msnews.ge**

ფოთში ჰიდროკვანძზე მომუშავე მუშაბა ხელფასების მოთხოვნით სამუშაოები შეაჩერეს



თაქლა მაჭავაძე
ფოთში

ფოთში, მდინარე რიონზე მდებარე ჰიდროკვანძის რეაბილიტაციაზე დასაქმებული მუშები ორი თვის ხელფასს ითხოვენ და დაახლოებით ერთი თვეა, სამუშაოები შეჩერებულია. ჰიდროკვანძზე, ძირითადად ადგილობრივი მუშები არიან დასაქმებული - პატარა ფოთიდან და დასახლება ყულევიდან. მუშების თქმით, მხოლოდ ოთხი მუშაა ჩამოყვანილი კომპანიის მხრიდან.

მუშები კატეგორიულად აცხადებენ, რომ სამუშაოები სახელფასო დავალიანების დაფარვამდე არ გაგრძელდება: „სად არ მიმუშავია, საზღვარგარეთაც კი, მაგრამ ასეთი უმსგავსობა და უსამართლობა არსად მინახავს. ოთხი ადამიანი ვმუშაობთ ე.წ „ჩიკატურზე“, სადაც ანაზღაურება ხდება კვადრატულობით. წესით, უკვე უნდა გქვონდეს ჩვენი სამუშაო დასრულებული“

ლი, მაგრამ ხელფასების გაუცემლობის გამო შევჩერეთ მუშაობა. არც არავის მივცემთ აქ მუშაობის გაგრძელების საშუალებას. ისიც გავიგეთ, რომ სხვა ჯგუფის ჩამოყვანას აპირებენ. ძნელია ასეთ პირობებში მუშაობა, როდესაც დამსაქმებელი ავლებულად გესაუბრება და არ გთვლის ადამიანად“- გვითხრა ავთანდილ ლანჩავამ.

აღნიშნული ობიექტზე სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული ფირმა „ერის იმედი“ ასრულებს.

სამუშაო ობიექტის მწარმოებელი გიორგი ბეჟაშვილი როგორც ამბობს, ხელფასების დაგვიანება მხოლოდ ტექნიკური ხარვეზია, მალე გამოსწორდება და სამუშაოებიც განახლდება. მისივე თქმით, კომპანიაში შეიქმნა გარკვეული ხარვეზი თანხასთან დაკავშირებით, რაც „ორშაბათამდე“ გაირკვევა

დასასრული 2-33.

**რას ეღაპებიან
კორსანტიანს** 33. 5

„გვეშველება რაგაე?“

33. 6

**ტარიელ სუარი:
„სიყვარული ღმერთია„** 33. 6

**ფოთელი მოქრივეები საბა
ტყეზურავე და ირაკლი
ჯანელიძე ეპროვის
ჩემპიონები გახდნენ** 33. 7

**ეპროვის ახალგაზრდულ
ჩემპიონატზე ფოთელმა
ნიჩოსნაბა საუკეთესო
შედეგი აჩვენა** 33. 7

გამომცემელი და
ლიტერატორი,
მთავარი რედაქტორი
068ა გვასალია -
599 341 417;
068აგვასალია
რედაქტორი
036ა პაპორია -
597 97 76 18

კორექტორი:
მანა ჩხეიძე
551 522 429-
კორესპონდენტები:

მარიამ ჯავახია -
579 24 11 22

თეკლა მატკაძე
(ფოტო)
568 74 41 12

036ა პაპორია
(ხედი)
597 97 76 18

გამომცემნაკის
მასალის შინაარსი
შეიძლება არ
ეთანხმებოდეს
რედაქციის
თვალსაზრისს.
სტატიის ავტორები
თავად ატარებენ
პასუხს ინფორმაციის
სიზუსტეში.
რედაქციაში აუცილ
მასალაში ინახება
ორი კვირის
ბანაკვლობაში,
ამ ვალის ბასვლის
შემდეგ პრაქტიკაში
არ მიიღება.

გამომცემნაკის
მასალის
ბალანსზე
რედაქციის
ნებართვის
გარეშე
აპრძალულია.

ფოტოპროექტზე მოუხავე მუშაობა ხელფასების მოთხოვნით საუბარები შეაჩერეს

დასაწყისი პირველი გზარჯი

(თუმცა, რომელიც ორ შაბათია, არ დაუკონკრეტებია). როგორც გა-
ქარკვეთ, კომპანიის გენერალური დირექტორი ირაკლი კოკია
ქალაქში არ არის. მალე გეგმავს ჩამოსვლას და ადგილზე გაეც-
ნობა საკითხებს.

გიორგი ბეჟაშვილი მუშების ჩანაცვლების ფაქტზე დაადასტუ-
რა იმ შემთხვევაში, თუ აღინიშნა მუშები არ იმუშაებენ - „თუ
უნდათ, გააგრძელებენ, თუ არადა, სხვებს ავიყვანთ“.

ერთ-ერთი მუშის მამუკა ხურცილაძის თქმით: „ძალიან ძნელ
საპასუხისმგებლო და სახიფათო ადგილზე ვმუშაობთ და უსა-
მართლობაა, ხელფასს დროზე რომ ვერ ვიღებთ. ჩვენს უკან ოჯა-
ხებია, კრედიტები გვაქვს. მე დაგვიანებული ხელფასის გამო ვერ
გადავიხადე კრედიტი და ავტომანქანა დავკარგე“.

ხელფასდაგვიანებული მუშები საქართველოს გაერთიანებუ-
ლი პროფკავშირების ფოთის წარმომადგენელს ინგა გვასალიას
შეხვედნენ, რომელიც ადგილზე გაეცნო არსებულ ვითარებას და
მათ დახმარებას დაჰპირდა იმ შემთხვევაში, თუ კომპანია ხელფა-
სებს დაპირებულ დღეს არ დაარიგებს. გენერალურ დირექტორ
ირაკლი კოკიასთან დაკავშირებას მრავალჯერ ვცადეთ, მაგრამ
ჩვენს ზარებს ჯიუტად არ უპასუხა.

პიდროკვანძზე სამუშაოები ივლისში უნდა დასრულდეს, მაგრამ
თუ ასე გაგრძელდა, დასრულების ვადები გადაიწვეს.

მელიორაციის სამსახურში როგორც გავარკვეთ, კონტრაქტორი
ფირმისთვის პირველი ეტაპის სამუშაოების ფული მთლიანად
გადახდილია და სამუშაოების ვადაში გადაწვევის შემთხვევაში
ფირმას სოლიდური ჯარიმის გადახდა მოუწევს. „კომპანიამ ჩაუ-
რიცხა 20 % ავანსი, რაც საჭირო იყო, მიიღეს. ჩვენი კომპანია
ჩაურიცხავს თანხას შესრულებული სამუშაოს მიხედვით ყოველი
თვის ბოლოს. 20 აგვისტომდე აქვს დასრულების ვადა. ყოველ
ვადა გადაცილებულ დღეზე დაერიცხებათ ჯარიმა, რომელიც სა-
ერთო ღირებულებიდან გამომდინარეობს. პირველი ეტაპის სამუ-
შაოების დასრულების მერე, ჩვენი კომპანია გამოაცხადებს ტენ-
დერს მეორე ეტაპისთვის გათვალისწინებული სამუშაოებისთვის,
რაც ითვალისწინებს წყალქვეშა სამუშაოებს“- ვგითხრა მელიო-
რაციის სამსახურის წარმომადგენელმა გენო ლოლაძემ.

შეგახსენებთ, რომ ტენდერში გამარჯვებული კომპანია „ერის
იმედი“ ფარების, კაშხლის, ამორტიზებული ელექტრო ტექნიკის
და სხვა მექანიკური ნაწილების კაპიტალურ რემონტსა და რეაბი-
ლიტაციას მოახდენს. პროექტის მეორე ეტაპზე ადგილობრივი სამუ-
შაოები წყლის ქვეშ განხორციელდება. სარემონტო სამუშაოებზე
1 367 815 ლარი დაიხარჯება.

ფოტოპროექტზე მოუხავე მუშაობა ხელფასების მოთხოვნით საუბარები შეაჩერეს

ფოტოში, ხორავას ქუჩაზე მოკლული დავით სარალიძის მამის,
ზაზა სარალიძის მხარდამჭერი აქცია გაიმართა. სკოლის მოს-
წავლეები, ახალგაზრდები და რიგითი მოქალაქეები თეატრის წინ
ლოზუნგებით: „ნუ მომკლავ“, „ადვადგინოთ სამართალი“, „არა ძა-
ლადობას“ შეკრებილნი ხელისუფლებას საქმის სამართლიანი
გამოძიებისკენ მოუწოდებდნენ.

სოლიდარობის აქცია სკოლის მოსწავლეების ორგანიზებით გაი-
მართა. „ აქ შეკრებილებს გული შეგეტკივა იმ უსამართლობაზე,
რომ დამნაშავეები არ არიან დასჯილები. მოუწოდებთ მთავრო-
ბას, რაც შეიძლება მალე მიიღონ ზომები, რომელიც არის გასა-
ტარებელი და ყველა ის ადამიანი ჩასვას ციხეში, ვისაც ბრაალი
მიუძღვის ამ ახალგაზრდა ბიჭების მოკვლასა თუ მათი მკვლელებს
დანაშაულის დაფარვაში“ - ძირითადად ასეთ განცხადებებს
აკეთებდნენ აქციის მონაწილეები. აქციას პოლიტიკური პარტიე-
ბის წარმომადგენლებიც შეუერთდნენ.

აქციის მონაწილეები თქმით ვიდრე დამნაშავეები არ დაისჯები-
ან, გარდაცვლილის მამას მხარდაჭერას გამოუცხადებენ და აქცი-
ებს გამართავენ.



„გენდერული საუბრები კაცებთან,“- დისკუსია ფოთში

რა პრობლემებს აწყდებიან ქალები
დღეს საქართველოში და რა
ხელშემშლელი გარემოებებია, რაც
მათ ხელს უშლის თანამდებობრივ
წინსვალში. ამ და სხვა საკითხებზე
იმსჯელეს გადაწყვეტილების მიმ-
დებმა მამაკაცებმა საარჩევნო სის-
ტემების საერთაშორისო ფონდის
(IFES), ჟურნალისტთა ქსელისა და
ფოთის გენდერის მედია ცენტრის
ორგანიზებით გამართულ შეხვე-
დრაზე. დისკუსიაში მონაწილეო-
ბა ფოთის მერის მოადგილემ, გი-
ორგი ფარეშიშვილმა, საკრებულოს
წევრებმა, სამსახურების ხელმძღვა-
ნელებმა მიიღეს.

შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა
საზოგადოების ნებისმიერ ფენაში,
გენდერული ცნობიერების ამაღლე-
ბა, ლიდერი კაცების მოტივირება,

გახდნენ გენდერული თანასწორო-
ბისა და ქალთა გაძლიერებისა და
გააქტიურების ხელშემწყობები.
შეხვედრისას ისაუბრეს გენდერუ-
ლი თანასწორობის მნიშვნელობაზე,
ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობაზე,
თუ რატომ არის აუცილებელი კაცე-
ბისა და ქალების თანაბარი მონაწი-
ლეობა გადაწყვეტილების მიღების
პროცესში. ასევე ხაზი გაესვა საზო-
გადოებაში გამჯდარ იმ შეხედულე-
ბებს, მითებსა და სტერეოტიპებს. ამ
კუთხით თუ როგორია სტატისტიკა,
კონვერციები და რეკომენდაციები.
„ქალში ყოველთვის იქნება ხარისხი,
რადგან ქალებს მეტი პასუხისმგე-
ბლობა გააჩნიათ. ქალს უფრო მეტი
საქმის გაკეთების სურვილიც და
შესაძლებლობაც გააჩნია. ამიტომ
რაც უფრო მეტი ქალი მოვა პოლი-



ტიკაში ქვეყანაში ამდენი პრობლე-
მაც არ იქნება. წინა პოზიციებზე წა-
მოიწვეს ისეთი საკითხები, რაც დღეს
სამწუხაროდ მამაკაცებს გამორჩევათ
ხოლმე“- განაცხადა „ჟურნალისტთა
ქსელის გენდერული თანასწორობი-
სათვის“ ფოთის მედიაცენტრის დი-
რექტორმა ინგა გვასალიამ.

„გენდერული საკითხები დღეს ძა-
ლიან აქტუალურია. ძალიან ნაყოფიე-
რი დისკუსია შედგა. მადლობა მინდა
ვუთხრა ამ შეხვედრის ორგანიზატო-
რებს. ვისაუბრეთ იმ პრობლემურ სა-
კითხებზე, რომელიც გენდერის კუთ-
ხით ჩვენს საზოგადოებას აწუხებს,
ვისაუბრეთ იმ გამოწვევებზეც, რომე-
ლიც გვაქვს თანამედროვე საქართვე-
ლოში. ასევე ვისაუბრეთ მიზეზებზეც,
თუ რატომ ხდება ის პრობლემური
საკითხები და რა ხერხები უნდა
არსებობდეს იმისათვის, რომ ად-

მოიფხვრას სხვადასხვა უწყებებში თუ
ზოგადად საზოგადოებაში ამ კუთხით
არსებული პრობლემები. მაქსიმალურად
მერია მხარს დაუჭერს საზოგადოებაში
გენდერულ საკითხებზე ინფორმაციის
გავრცელებას, სწორად მიწოდებას. ამ
რეკომენდაციების უშუალოდ პრაქტიკა-
ში ასახვას“- აღნიშნა ფოთის მერის
მოადგილემ გიორგი ფარეშიშვილმა.

ფოთის საკრებულოს სოციალურ სა-
კითხთა კომისიის თავმჯდომარე ბაქარ
ერაგია გვპირდება, რომ ფოთის მერია
და საკრებულო 2019 წელს უფრო მეტად
გენდერულად ორიენტირულ ბიუჯეტს მიი-
ღებს, ვიდრე ეს იყო გასულ წლებში. „ამ
კუთხით მუდმივად ვმუშაობთ. ჩვენს თა-
ნამოქალაქე ქალბატონებს უფრო მეტი
შესაძლებლობა ექნებათ მიიღონ ის სერ-
ვისები და სიკეთეები, რასაც მუნიციპა-
ლიტეტი მათ შესთავაზებს“.

ლევან კუპრაიშვილი: „აღაიანი, რომელიც ქუჩაში დგას და ზრუნავს ქალაქის იერ-სახეზე, მათი შრომა უნდა იყოს დაფასებული,, „მეტი შედეგისთვის მეტი შრომაა საჭირო,,

თქვენი აზრები ფოთი

კვირის ინტერვიუს სტუმარი გახლავთ სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრაიშვილი, რომელმაც ჩვენთან ჩატარებულ სამუშაოებზე, სამოქმედო გეგმებზე ისაუბრა და როგორც აღნიშნა, მისთვის პრიორიტეტი ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარება გახლავთ.

-ძირითადი პრობლემები, რაც მეტეკვიდრობით მიიღეთ..

-არ მინდა იმაზე საუბარი, რაც დამხვდა. ისედაც ყველაფერი კარგად იცის. რეალურად, რაც დამხვდა, იყო დუბლირებული სამსახურები. გასული წლის 13 ნოემბერს შევუდგექი საქმიანობას. ბევრი კარგი საქმე იყო გაკეთებული, თუმცა სამუშაოც დღემდე ძალიან ბევრია. შემთხვევით ვისაუბრო იმაზე, რომ არ დამხვდა არც ერთი მუშა პროექტი. პროექტები მერიას უკვე შესყიდული ჰქონდა. არც ტენდერისთვის მზა პროექტი არ დამხვედრია, რომ გამეტანა ტენდერზე და შეგვეყიდო. როგორც კი შევუდგექი საქმიანობას, 13 ნოემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, არც ისე დიდი დრო იყო, დაველოდე 1 იანვარს, რომ საპროექტო სამუშაოები შეგვეყიდო. საერთო ჯამში, რაც დღემდე გამოვაცხადეთ, გახლავთ 168 ათასი ლარი, რომელიც გათვლილია სტიქიებით გამოწვეული პრობლემების მოსაგვარებლად.

ტენდერი უკვე შედგა, დოკუმენტები გადასულია დაზუსტებულ ვეულსხმობ, ძველ სენაკში წყალდიდობის დროს შექმნილ მდგომარეობაზე. ტენდერი უკვე გამოცხადდა, მაგრამ კონტრაქტორი ფირმა არ ვიცი, ვინ არის, არ შედის ეს ჩემს ინტერესში. მთავარია, სატენდერო პირობები და ნორმები იყოს კანონმდებლობის სრული დაცვით შესრულებული, რომლის პერფორმანსა აქვს სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს. ტენდერების დაჯგუფება ისე მოხდა, რომ 50 ათას ლარის ღირებულებას ასცდეს და სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურმა შეასრულოს და შეამოწმოს ეს საქმე.

-როგორც ამბობთ ინფრასტრუქტურული საქმიანობაა თქვენთვის პრიორიტეტი. რამდენია გამოყოფილი ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად წელს და რა პროექტებია ეს?

-4 მილიონ სამასი ათასი ლარია გამოყოფილი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის. აქედან 900 ათასი ლარი ბორდიურების კეთილმოწყობას მოხმარდება. დავასრულებთ სრულად რუსთაველის ქუჩის მოპირკეთებას. ქუჩის ბოლოს იქნება ბეტონის საფარი, ხოლო ქალაქის ნაწილში ბეტონი და ფილა. საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისთვის 900 ათასი ლარია გათვალისწინებული, შიდა

გზის მოწესრიგებას გულისხმობს. ხოლო 4 მილიონ 300-დან 3 მილიონ 400 ლარი იქნება განკუთვნილი ქალაქისა და სოფლების საგზაო ინფრასტრუქტურის გასაკეთებლად. ჩემთვის ძალიან მტკივნეული გახლდათ, ფოცხო-ბუთლემის შემადგენელი გზა, რომლის პატარა მონაკეთი იყო დარჩენილი და ვაკეთებთ. ასევე ქალაქში ჩამოიხსნება 360 სანაბი, ვახდენთ ნუმერაციას და მის ადგილას ვამონტაჟებთ ახალ „ლედ“ ნათურებს, ხოლო ძველ სანაბებს გადავიტანთ ახალსოფლის გზაზე. სტიქიების მიმართულებითაც ვმუშაობთ, მილიონ 750 ათასი ლარია განკუთვნილი ამისთვის. გადაგზავნილია ინფრასტრუქტურის სამინისტროში, ამ საკითხთან დაკავშირებით მინისტრის მოადგილესთანაც მქონდა კომუნიკაცია. მგფ-ის მიმართულებითაც ვმუშაობთ, ვოლასკურის მოსახლეობას შევპირდი გზის მოწესრიგებას. ვეცდებით, წლის ბოლოს უკვე დასრულდეს. საჭიროა 5 კმ სამასი მეტრის მოწესრიგება. თავიდან საუბარი იყო 4 კილომეტრზე, მაგრამ მოსახლეობის თხოვნით ვაკეთებთ 5 კმ სამასს. საპროექტო სამუშაოებს რაც შეეხება, პირველ გამოცხადებაზე ჩავარდა, რადგან ვერ დააკმაყოფილა პირობები, გამოვაცხადეთ ხელახალი



ტენდერი, რომელიც შედგა. ასევე, შემოსულია სოფლის გზების პროექტები, გაგზავნილია ზედამხედველობის სამსახურში და ველოდებით პასუხს. ასევე ველოდებით ქალაქის ქუჩების, ბორდიურების საპროექტო სამუშაოს, თვის ბოლოს გადაგზავნით, შესაბამისი პროცედურების დაცვით რომ გამოიყოს თანხა. ივნისის დასაწყისში კი გამოვაცხადებთ ტენდერს 20 დღის ვადით. ასევე, ვგეგმავთ, ეკონომისგან დარჩენილი თანხით

შევისყიდო პროექტები. - რა მდგომარეობაა გაზიფიცირების კუთხით მუნიციპალიტეტში?

-ექსპლუატაციაში უნდა შევიდეს 79 კმ გაკეთებული და ჯამში 1345 მოსახლესთან შეეხებინათ გაზი ნოსირით, თვის ბოლოს გადაგზავნით, ახალსოფელი-თეკლათში. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ახალსოფელში ბოლო მოსახლემდე მიყვანილია გაზი. სენაკის მუნიციპალიტეტში

დასასრული 4-გვ.

ფოთის მერმა ქურნალისტებს ექვსთვიანი მუშაობის ანგარიში ჩააბარა

ივანე პაპიაშვილი ფოთი

ფოთის მერი ვინა კურდღელი ანგარიშით მუშაობის ანგარიშით წარსდება ადგილობრივი მედია საშუალებების წინაშე: „ამ ხნის განმავლობაში კითხვები და გეგმირვებოდათ. გადავწყვიტეთ შეგვედროლით და თქვენი კითხვებისათვის გამოეცა პასუხი“ – მიმართა შეკრებილ ქურნალისტებს მერმა და მათ ექვსი თვის მუშაობის ანგარიშში გააცნო, სადაც შეეხო როგორც მიმდინარე ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს, ასევე განხორციელებულ სოციალურ და კულტურულ პროექტებს.

ბიუჯეტი მერს პრიორიტეტად ქალაქის ტურისტული კუთხით გავითარება მიაჩნია. როგორც მან აღნიშნა: „განხორციელებულ და მიმდინარე პროექტებთან ერთად, სამწუხაროდ, პრობლემური პროექტებიც გვაქვს, მაგრამ მთელ ჩვენს ძალისხმევას ვახმარებ აღნიშნული პროექტების უმტკივნეულოდ და დროულად შესრულებას. მოგესხებნებათ, ჩვენი ბიუჯეტი ძალიან მწირია და როდესაც ყოფითი პრობლემების წინაშე აღმოვჩნდით, იძულებულნი ვაგვხდით, მასში ცვლილებები შეგვეტანა. ჩვენი ბიუჯეტი ძირითადი წყარო მიწის გადასახადია. აღნიშნული თანხების დეკლარირება ორგანიზაციების მიერ ხდება 1 ივნისს და ველოდებით ამ პერიოდს.

იმედი გვაქვს, ბიუჯეტში გვექნება ზრდა ქონების გადასახადის სახით. ასევე, მოგახსენებთ, ბიუჯეტიდან დიდი თანხა სუბსიდიებზე იხარჯება. ამდენად, საშუალება არ გვაქვს ქალაქში განვახორციელოთ ინფრასტრუქტურული პროექტები“.

მომავლის პროექტი „ქალაქში ხორციელდება ახალი პროექტები, როგორცაა კუნძულის უბნის კეთილმოწყობა. ახლო მომავალში ვამზადებთ საკონკურსო წინადადებებს და გამოცხადდება კონკურსიც. გადაწყვეტილება მივიღეთ, პროექტზე ჩატარდეს კონკურსი და არა ტენდერი. გვინდა, მოსახლეობა მაქსიმალურად ჩაერთოს. პროექტით გათვალისწინებული გვაქვს ველობილიკები, საავტომობილო გზის მოწყობა, სავაჭრო ობიექტებისა და ვეტერანთა სახლის მოწყობა. ასევე, სავაჭრო და რაბაზის, საბავშვო მოედნებისა და ტრენაჟორების გაკეთება“.

თეატრი „რაც შეეხება პრობლემურ პროექტებს, ამ კატეგორიაში მოხვდა თეატრის დაუსრულებელი და მოუგვარებელი პრობლემები. „ჩვენს გუნდს მიაჩნია, რომ ძირითადი პრობლემა აქ იყო პროექტი, რადგან იგი საკმაოდ რთული და ფოთისათვის შეუფერებელია იმიტომ, რომ შენობაზე არის მიწაყრილობა, რაც თავისთავად ქმნის ნესტს, ასევე ვინტილაციის პრობლემაცაა აღნიშნულ შენობაში. სამწუხაროდ, ტენდერი ორჯერ ჩავარდა და დღეისათვის, კანონით



მოცემული პირობებით, ყველა აქტიურად ვმუშაობთ, რომ რაც შეიძლება მალე განახლდეს პროცესი. ჩვენ წერილობით უკვე მივმართეთ შესყიდვების სააგენტოს და ნებათა და ვითხოვეთ გამართვებულ ხელშეკრულებაზე ან ისევე ტენდერს გამოვაცხადებთ. არის ისეთი აზრიც, რომ ტენდერის ჩავარდნა გამოიწვია თანხის სიმცირემ, მაგრამ ეს თანხა სპეციალისტების მიერ იყო დადგენილი, როგორც იქნება რეკომენდაციები სპეციალისტების მხრიდან, იმ კუთხით გავაგრძელებთ მუშაობას“.

აღნიშნა კურდღელიამ. დაუსრულებელი პროექტი

„გავიგვრებდნენ სარემონტო სამუშაოები სტადიონზეც. იქ ხელშეკრულება გაგრძელდა. აღნიშნული გამოწვეულია იმით, რომ ჩვენ ფედერაციასთან შეთანხმებით, შევცვალეთ კატეგორია და პირველი კატეგორიიდან მეორეზე გადავიტანეთ აქცენტი. ასე რომ, უფრო მაღალი კატეგორიის თამაშები იქნება შესაძლებელი სტადიონზე. პარალელურად, ფედერაციასთან შეთანხმებითა და მათი დახმარებით უკვე დაიწყო მოედნის ბუნებრივი საფარით დაფარვის სამუშაოები. აღნიშნული სამუშაოების შემდეგ ბალახს 3-4 თვე სჭირდება შესაგუ-

ბლად. ამ ხნის განმავლობაში დავასრულებთ პირველი ეტაპის სამუშაოებს. აქაც ცვლილებები შევიდა. კერძოდ, შეიცვალა გადახურვის მასალა. ცვლილებები შევიტანეთ ასევე მეორე ეტაპის სამუშაოებშიც, სექტემბრის დასაწყისისათვის გამოვაცხადებთ მეორე ეტაპის ტენდერს“.

მაღათაყვის სანაპირო ზოლი „აქაც იყო გარკვეული სახის პრობლემები. დღეისათვის მშენებლები უფრო ჩქარი ტემპით მუშაობენ და ვიმედოვნებთ, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში ჩაეტევიან, რომელიც 28 სექტემბრს იწურება. ამ

დასასრული 4-გვ.

ფოთის მერმა ჟურნალისტებს ექსტრემიანი მუშაობის ანგარიში ჩააბარა

დასაწყისი 3-მ.

პროექტის შემდეგ ქალაქმა სულ სხვა დარტყმით მიიღო. თუ მანამდე ფოთი მხოლოდ საწარმო ქალაქი იყო, მაღალკლასის სანაპირო ზონის გაშენების შემდეგ ტურისტული დატვირთვა ექნება. ეს რამდენჯერმე პრემიერ მინისტრმაც აღნიშნა საუბარში. ამჟამად მიმდინარეობს პროექტის მეორე ეტაპის სამუშაოები და 800 მ-ით გაგრძელდება სანაპირო ზოლი, ხოლო მესამე ეტაპი მოიცავს ელექტრო ქვესადგურებისა და სხვა კომუნიკაციების გაკეთებას. რათა არ დაიკარგოს წლებიანად მიწის ფენები და ფოთელებისა და ტურისტებისათვის კომფორტული იყოს დასვენება, სანაპიროზე დროებით მიყვანილი იქნება განათება და სხვადასხვა კომუნიკაციები. ივნისის დასაწყისში აუქციონზე გავრამდენიმე ადგილი და დაინტერესებულ პირებს საშუალება ექნებათ, მოაწონონ სხვადასხვა სავაჭრო ობიექტები. მიუხედავად ბიუჯეტის სიმცირისა, გამოინახა თანხები და ზღვის სეზონის გახსნისთანავე, მუშაობას დაიწყებს სამაშველო სამსახურიც.

მცირე პროექტები კურდღელია თავის ანგარიშში ასევე შეესო 112 და სპორტდარბაზის მშენებლობას. როგორც მერმა აღნიშნა, მიმდინარეობს მუშაობა მცირე ინფრასტრუქტურულ პროექტებზე და ახლო მო-

მავალში დაიწყება დიდების მემორიალის კეთილმოწყობა, უპოვართა სასაბუღალტრო შეკეთება, ეზოების კეთილმოწყობა, ფარნავაზ მეფის ქუჩის გაკეთება. უკვე დაიწყო სახურავების გადახურვა და ქალაქის გამწვანება. როგორც გაირკვა, ახლო მომავალში ქალაქი საკუთარი სანერგე მეურნეობის გაშენებასაც აპირებს.

ანგარიშის შემდეგ შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

ჟურნალისტის კითხვაზე - რატომ იტვირთება ფოთი ყოველი წვიმის დროს, როდესაც ადგილობრივი ხელისუფლება საუბრობს არხების რეკონსტრუქციის გაწმენდას და სატუმბო სადგურების აღდგენასა თუ აშენებაზე? მერის მოადგილე ირაკლი თოფურია ჟურნალისტს არ დაეთანხმა: „ყოველ წვიმაზე არ იტვირთება. რაც შეეხება ბოლოს მოსულ ნალექს, მაქსიმუმ ნახევარ საათში სამსახურები მობილიზდნენ და სანასოსე ამუშავდა. დამის საათებში არაფერ იცის, რა რაოდენობის ნალექი მოვა. ნახევარ საათში მოგვარდა ეს პრობლემა. ერთი სატუმბო სადგური დაემატა და ეს ვერ მოხსნის პრობლემას. მომავალი წლისთვის იგეგმება კიდევ ერთი სატუმბო სადგურის აშენება, თან რიონის დონე მაღალია, რადგან რიონის პიდროკვანძურ ხიდზე მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები და ყველაფერი აწეულია.“

მერმა არსებული პრობლემა არ უარყო: „გეთანხმებით, გვაქვს ეს პრობლემა, მაგრამ

არა ისე, როგორც გასულ წლებში. სატუმბო სადგურები არ არის საკმარისი. ამიტომ, წელს 120 000 ლარია გათვალისწინებული არხების გაწმენდასა და რეაბილიტაციისათვის. ამ კუთხით ნამდვილად გვაქვს სამუშაო. თან, სატუმბო სადგურმა ვერ გაატარა წყალი და ამიტომაც მოხდა ეს“.

ჟურნალისტის მორიგ კითხვაზე - რა კეთდება ქალაქის იმიჯის ასამაღლებლად. მერის მოადგილე გიორგი ფარეშივილია როგორც აღნიშნა, ფოთის იმიჯისთვის ძალიან ბევრი რამ კეთდება: „ძალიან მნიშვნელოვანი იყო ქალაქის დღის აღნიშვნა, ოკუპაციის კვირეული ჩატარდა, ასევე მნიშვნელოვანი იყო დამოუკიდებლობის დღის ჩატარება, რომელიც საქართველოს მასშტაბით 8 ქალაქში ტარდება. ზაფხულში ჩატარდება ახალგაზრდობის ფესტივალი, ასევე ნიკო ნიკოლაძის საიუბილეო თარიღს ვიხეივებთ. თეატრისა და ჭადრაკის ფესტივალები გაიმართება. ყველაფერი ეს იმიჯის ასამაღლებლად ტარდება. ძალიან ბევრი გეგმები გვაქვს ქალაქის დაბრუნებაზე“.

როგორც ჩანს, მომავალი წლისთვის ფოთი მიმზიდველი გახდება როგორც ტურისტის, ისე დანარჩენი საქართველოსთვის და არ იქნება ასოცირებული მხოლოდ კოდოსთან და ქაფშიის სუნთან.

მერმა ისიც აღნიშნა, რომ მომავალი წლის ბიუჯეტის დაგეგმვა სექტემბერიდან დაიწყება და ბიუჯეტის გაზრდის იმედიც გამოთქვა.

ლევან კუპრეიშვილი: „აღამიანი, რომელიც ქუჩაში ღვას და ზრუნავს ქალაქის იერ- სახეზე, მათი შრომა უნდა იყოს დაფასებული.“

დასაწყისი 3-მ.

შემოსულია დღეის მდგომარეობით, ძველი სენაკის, ტარხელის ხილამდე, ზედა სოტა და ქვედა სოტა, ნოქალაქები თავისი განშტოებით. პრემიერის დადგენილება მაქვს, რომ ნოსირიც ჩართული იქნება საპროექტოში. საუბარია სამუშაოს დაწყების ნებართვის გაცემაზე, რომელსაც ითხოვს გაზის კომპანია. როგორც კი გაიცემა ნებართვა, გამოცხადდება ტენდერი და 2019 წლის იანვარ-თებერვალში, ამ მოსახლეობას გაზი სრულიად ექნებათ.

-საუბრის დასაწყისში ახსენეთ, რომ დაგხვდათ დუბლირებული სამსახურები, როგორც ვიცით თქვენი მოსვლის შემდეგ ამ კუთხით რეორგანიზაცია გაატარეთ..

-დავიწყე ძალიან დიდი რეორგანიზაცია, რომელმაც წაიღო ჩემი მუშაობის 6 თვიდან 4 თვე, მაგრამ ვერაფერ მტყვევს, რომ ვინმე უსამართლოდ, უკანონოდ გავათავისუფლე სამსახურიდან. ყველაფერი სრული პროცედურების დაცვით განხორციელდა. მარტივად შემიძლია ვთქვა, რომ კულტურის აიპიდან განთავისუფლებული თანამშრომლებისგან ეკონომია მივიღეთ 84 ათასი ლარი. 10 აიპიდან ღირსა 8 და მომავალ წელს კიდევ ერთი აიპის გაუქმებას ვაპირებ, მაგრამ რომლის, ჯერ არ ვიტყვი. საბოლოოდ 64 მუნიციპალიტეტში იქნება ერთიანი სამოქმედო სტრუქტურა. მიზანი ერთია - უნდა გაერთიანდეს თემატურად აიპები. იყო კეთილმოწყობის აიპი, სადაც შედიოდა განათება, გამწვანება, ასევე იყო სასაფლაოების მოვლა-პატრონობა და დასუფთავება. გავაუქმე დუბლირებული სამსახურები და დავიცავი პროცედურები, მათ ნაკვალად სხვა არ დამიბრტყია. კეთილმოწყობა და სასაფლაოები გავაერთიანე. ჩამოვავალე „ქალაქის სერვისების მართვის ცენტრი“, ფოთიდან წამოვიღე ეს მეთოდი, ძალიან მომეწონა. ვგეგმავ, გამოთავისუფლებული თანხა დასაქმებული ადამიანების -ნაგვის დამტვირთველების, მეზოვეების, ელექტრიკოსების ხელფასებზე მიემართო. ყოველთვის ვამბობ, რომ ადამიანი, რომელიც ქუჩაში ღვას და ზრუნავს ქალაქის იერ-სახეზე, მათი შრომა უნდა იყოს დაფასებული. 31 დეკემბრის სახალწლო საჩუქრად ფულადი თანხა მხოლოდ მეზოვეებს მივეცი.

-წლებია მენჯის ბალნოლოგიური კურორტი არ ფუნქციონირებს, თუმცა ყოველი ახალი გამგებელი ამ საკითხის მოგვარებას აპირებს, მაგრამ დღემდე არაფერი შეცვლილა. უფრო მეტიც, ამ წლების განმავლობაში კურორტი

კიდევ უფრო განადგურდა. თორღვე წლის წინ გაიქცა რა ინფორმაციამ კურორტი ჩინელი ბიზნესმენების დაინტერესებაზე, თუმცა შემდეგ ისევ შეჩერდა ეს პროცესები სხვადასხვა მიზეზების გამო. მაინტერესებს ამ კუთხით ახლა რა მდგომარეობაა?

-მენჯის თემა ძალიან მტკივნეული საკითხია. დავიწყეთ იქედან, რომ სანატორიუმში დევნილები არიან დასახლებულნი. ამაზე სამინისტროსთან მაქვს აქტიური კომუნიკაცია და ვგეგმავ, რომ სენაკელი დევნილები სხვა ქალაქში არ წავიდნენ საცხოვრებლად. აუცილებლად სენაკში უნდა გადავიტოვოთ საკუთრება, მოცილებული მაქვს ტერიტორია ჭავჭავაძის ქუჩაზე და გვინდა, ავაშენოთ 2 კორპუსი და იქ დავასახლოთ. როგორც კი სანატორიუმში ჩასახლებული დევნილების პრობლემა გადაიჭრება, აქტიურად დავიწყებთ ამ საკითხზე მუშაობას. რეალურად, სანატორიუმის წინა მხარეს არის ტერიტორია, რომელიც შეიძლება გასხვისდეს, მხოლოდ სასტუმროს მშენებლობის ნებართვით, ამასთან დაკავშირებით მოვიდა მუნიციპალიტეტში წერილიც, მაგრამ არსებობს პრობლემა, სამკურნალო წყალი, რითაც ეს ადგილი საინტერესოა, გასხვისებული კერძო ინვესტორზე, რომელსაც ვერაფერი ვუხერხებთ, რადგან ქონების ჩამორთმევის იურიდიული საფუძველი არ გვაქვს.

- ასევე წლებია სავალალო მდგომარეობაშია ქალაქის ცენტრალური სტადიონი, იგეგმება თუარა ამ კუთხით რამე სამუშაოები?

-გასაკვირა, რომ სტადიონი სავალალო მდგომარეობაშია, ნაღმიც კი არის დატყვევებული ერთ-ერთ ტრიბუნაზე. ჩვენ სამხარეულიდან მივიღეთ დასკვნა, შემოვლობეთ ის ადგილი, რადგან ხომ უნდა დავიწყეთ? დღემდე შეცვალაფერი, ცოტა გავალამაზეთ. შედეგებს რომ დაინახავს ფედერაცია, დაინტერესება მეტი იქნება მათი მხრიდან. ფეხბურთის ისეთი სპორტი, ფინანსები თუ არ ექნა, არაფერი გამოვა. ამიტომ, მეტი შედეგისთვის მეტი შრომაა საჭირო.

-ტურიზმის განვითარების კუთხით ხომ არ გეგმავთ რამე პროექტის განხორციელებას?

-რატომ უნდა ტურიზმის განვითარების კუთხით, ვგეგმავთ მარტვილიდან შემოსასვლელი 17 კილომეტრიანი გზის განათებას, იგეგმება 498 ახალი ბოძის დადგმა, განათება მოსაწვსრიგებელია ნოქალაქების, სენაკისა და მარტვილის საზღვრამდეც. ასევე დაინტერესებაა სენაკში არსებული მღვიმეების მიმართაც. მაგრამ რეალური საბუთის დადებამდე, საუბარი ზედმეტია. ამჟამად ბიუჯეტში კონკრეტული თანხა ამ ეტაპისთვის არ არის გათვალისწინებული.

საქართველოს აგროჟურნალისტთა ასოციაციის პრაზენტაცია

2018 წლის 28 მაისს საქართველოს აგროჟურნალისტთა ასოციაციის (AGAJ) წარდგენის ღონისძიება გაიმართა. ბრიჯ ინოვაცია და განვითარება და პროექტი MOLI კახეთში, რომელიც HEKS/EPER is სამხრეთ კავკასიის ოფისის მიერ, შვეიცარიის მთავრობის დაფინანსებით ხორციელდება ასოციაციის მხარდაჭერით და თანადამფუძნებელია.

პრეზენტაციას ესწრებოდნენ ასოციაციის წევრი ჟურნალისტები, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე გიორგი ხანიშვილი, საერთაშორისო დონორი და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, კომერციული და საჯარო სექტორების, სოფლის მეურნეობის დარგის ექსპერტთა წრეებისა და დარგობრივი მედიის წარმომადგენლები.

მოწვეულ სტუმრებს ასოციაციის წარმომადგენლებმა გააცნეს მიზნები, სამომავლო გეგმები და ესაუბრნენ წევრობის შესაძლებლობებზე და ფორმებზე. მათ განაცხადეს, რომ ასოციაციის კარი ღიაა აგროსფეროს გაშუქებით დაინტერესებული ჟურნალისტებისა და აგროკომუნიკატორებისათვის, რომელთათვისაც მნიშვნელოვანია პროფესიული ზრდა. ასოციაციის წარდგენაში მონაწილეობა მხარდაჭერებმაც მიიღეს, რომელთაც ორგანიზაციის განვითარებაში სურთ წვლილის შეტანა.

საქართველოს აგროჟურნალისტთა ასოციაცია (AGAJ) არის ჟურნალისტთა პროფესიული გაერთიანება, რომელთა წევრები ქმნიან და ავრცელებენ სასოფლო-სამეურნეო სფეროსა და მასთან დაკავშირებულ ინფორმაციას. ასოციაციის მიზანია აგროჟურნალისტის დარგის განვითარების მხარდაჭერა მედიის მდგრადობისა და ჟურნალისტთა პროფესიული ზრდის ხელშეწყობით, რომელიც საბოლოო ჯამში, ფერმერთა და სოფლის მეურნეობის სექტორის მოთამაშეთა უკეთ ინფორმირებასა და განათლებას უკავშირდება. AGAJ დაარსდა 2017 წელს. ასოციაციის პარტნიორია აგროჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაცია (IFAJ).



რას ეღიპობიან კორსანტიას

ივანე პაპიანი

ადგილობრივ ხელისუფლებასა და შპს „ლეკას“ შორის ურთიერთობა ბოლო დროს დაიძაბა, რაც აშკარად შესამჩნევ გახდა ახალი წლის დადგომისთანავე, როდესაც ბაზარში მდებარე შპს „ლეკას“ დირექტორის მფლობელობაში არსებული სათევზისა და თევზის რესტორნის გარკვეული ნაწილი მოანგრევს. კორსანტია ამაზე „ხუმრობდა“ კიდევ - ირაკლი თოფურია საახალწლო საჩუქარი გამოიკეთა. ამჟამად კორსანტია მის მიერ ბაზრის ტერიტორიაზე გაკეთებული სანიაღვრე არხის კუთვნილებაზე დაუბნობს. არხის მფლობელის დადგენილება შესაძლოა ბაზრის ტერიტორია სანიაღვრე არხიდან გადმოღვრილი მასით დაიფაროს. კორსანტია როგორც ამბობს, 2004 წელს გააკეთა ბაზრის ტერიტორიაზე სანიაღვრე სისტემა: „მინდა ვთქვა, რომ არსად ქალაქში არ არის გაკეთებული ასეთი სისტემა. მიწისქვეშაა 300 დიამეტრის მილები. როდესაც ბაზარი ავაშე, მაშინ არ გვჭირდებოდა ამხელა დიამეტრის, მაგრამ გაუთვალისწინეთ განვითარების პერსპექტივა. ამ სისტემის 70% ჩემს კუთვნილებაშია, მაგრამ ნაწილი გადის ქალაქის გზაზე. ზედამხედველობის სამსახურში მითხრეს- რადგან ქალაქის ტერიტორიაზე გადის, შენი არ არისო. ვეუბნები, მაჩვენეთ საბუთი, რომ ეს თქვენია. მე მაქვს პროექტი, ხარჯთაღრიცხვა, მიღებულ ნაბარების აქტი, სხვას ეს დოკუმენტები არ აქვს და არც შეიძლება ქონდეს, რადგან ჩემი გაკეთებულია. ყველა კერძო მესაკუთრე ამას სარგებლობს უანგაროდ. თვეში ორჯერ იწმინდება. ფოთის პირობებში ეს აუცილებელი გასაკეთებელია. ბოლოს მოუსწორეს და შეაერთეს სწრაფი კვების ობიექტები, სახორცეობი და ბოლოს საპირფარეოებიც. სამ პიროვნებას აუკურბაღე კიდევ ამ არხის გამოყენება. მერიას ამის თაობაზე იანვრის თვეში მივწერე, მაგრამ პასუხი ჯერ კიდევ არ მოსულა. კიდევ ცოტა ხანს და-

ველოდები და შემდეგ იძულებული გავხდები, გადავკეტო. უკვე ხუთი თვეა, ეს არხი გაუწმენდავია. ცოტა ხნის წინ გაინხირა და ზემოთ ამოვიდა წყალი. რადგან ამას მედავებთან, ჩემთვის ალტერნატიული არხი გავაკეთე, ახლა ყველას საყურადღებოდ ვამბობ, ერთი მაგარი წვიმა და მთელი ბაზარი დაიტბორება, რადგან არ გაწმენდილა და არც არავის აინტერესებს, მეც დავიღალე უკვე“.

კორსანტია მერიას სთავაზობს, თავად ქალაქმა უპატრონოს და მოუაროს ამ არხს: „რადგან მედავებთან, თავად მოუარონ ან დააწესონ რაიმე სახის გადასახადი, ან იჯარა და გადავიხდი, მაგრამ ამ შემთხვევაში მომხმარებელსაც უნდა გადაეხადებინო“- ამბობს ბიზნესმენი.

კორსანტიას არც გარევაჭრობის მოწესრიგების სჯერა. მისი თქმით, უკვე რამდენიმე წელია ამისათვის იბრძვის, არაერთი წერილი აქვს მერიას გაგზავნილი, მაგრამ შედეგი არ დამდგარა. იგი თვლის, რომ ამის ერთ-ერთი მიზეზი ერთმანეთის ნათესავ- მოყვრობა გახლავთ - სიმკაცრის გატარებას ვერ ახერხებს ადგილობრივი ხელისუფლება. კორსანტიას აზრით, გარევაჭრობის პრობლემის მოგვარება მხოლოდ ყოფილმა მერმა ირაკლი კაკულიამ მოახერხა და ისიც სანახევროდ.

ბაზრის ტერიტორიაზე კანალიზაციის სისტემა რომ მოსაწესრიგებელია, ამას არც არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსი დავით ჯგერენია უარყოფს: „ბაზრის ტერიტორიაზე საკანალიზაციო სისტემა მოსაწესრიგებელი რომაა, ეს ფაქტია. გასაწმენდა შიდა არხები, საკანალიზაციო ჭები არ იწმინდება პერიოდულად და ნაშალი სხვადასხვა ნივთიერებები გროვდება. ჩვენ ამ საკითხზე ვისაუბრეთ, დავათვალიერეთ ჭები, გეგმაც შევადგინეთ. როდესაც ნოღარი კორსანტიამ ააშენა ეს ბაზარი, მაშინ მოეწყო ეს ჭები მის და მიმდებარე ტერიტორიაზე. ბაზარი ზოგადად პრობლემური საკითხია არა მარტო ამ კუთხით. ამიტომაც, როგორც კი კანალიზაციის სისტემის პროექტის განხორ-



ცივლება დაიწყება, პირველ რიგში ვეცდებით, ბაზრის ტერიტორიიდან დაიწყო“.

რატომ არ იწმინდება კანალიზაცია, ჯგერენიას ზუსტი პასუხი არ აღმოაჩნდა: „ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ სამი თუ ოთხი თვეა, არ გაწმენდილა. ქალაქის ტერიტორიაზე საბინაო ფონდი არის და ის ემსახურება როგორც საცხოვრებელ სახლებს, ასევე ბაზარსაც. ჩვენი მიზანია, ეს პრობლემა დროულად მოგვარდეს“.

იმ ფონზე, როდესაც ადგილობრივმა ხელისუფლებამ გარევაჭრობის მოწესრიგება დაიწყო, ჩნდება კითხვა, შესაძლებელია თუ არა ბაზრის ტერიტორიაზე საკანალიზაციო ჭების ამოსაწმენდად სპეციალური მანქანების შესვლა? უნდა აღინიშნოს, რომ გარევაჭრობის აკრძალვის მცდელობა წლების წინ დაიწყო ფოთის ბაზარში, თუმცა გაფრთხილებას და გარემოვაჭრების ერთკვირიანი „შეწვევის“ გარდა შედეგი არ მოყოლია. გარევაჭრების აზრით, ადგილობრივი ხელისუფლება გარემოვაჭრების გარკვეული ჯგუფების მიმართ ლობიობას იჩენს. ფაქტი კი ისაა, რომ

თვიდან თვემდე გარემოვაჭრებს „აერიან“ ბაზრის ტერიტორიიდან, ბაზარში არსებული მალაზიის მფლობელებს გასავიდ საქონელს ცენტრალურ გზაზე არ გამოატანინებენ. ეს მოთხოვნები მხოლოდ ერთ კვირას გასტანს, გასაკვირი არ არის, რომ ყოველივე ამის შემდეგ უნდობლობა ჩნდება გარემოვაჭრებს შორის. სწორედ ამიტომ მათი კატეგორიული ტონის არ ჯერათ და პრობლემაც მოუგვარებელი რჩება. არც გარემოვაჭრების პრეტენზიაა სიმართლეს მოკლებული: „ესენი ამბობენ, მაგრამ არასოდეს არაფერს ასრულებენ. უბრალოდ, ჩვენ გავწვავლებენ შიგადაშიგ“. სიმართლე კი ის გახლავთ, რომ რამდენიმე თვის წინ განხორციელებული გარევაჭრობის აკრძალვის მიუხედავად, დღესაც, როგორც დანარჩენი აკრძალვების შემდეგ, ბაზარში თავისუფალი გადაადგილება ჭირს. ამას არც ჯგერენია უარყოფს: „დედნადელი მდგომარეობით, ბაზრის ტერიტორიაზე ვერ შევა მანქანა. ვიყავით მოვაჭრეებთან, გავესაუბრეთ მათ და გავაფრთხილეთ. ჯერჯერობით არანაირი შედეგი არ არის, მაგრამ არ ვაპირებთ ამ თემის ასე დატოვებას. არავის შეურაცხოვან არ ვაყენებ, მაგრამ ამ ადამიანებთან ცოტა რთულია ურთიერთობა, რადგან ყოველთვის დიდად აგრესიულები არიან“.

„სოციალურად დაუსველი პირ და კანონის პირ მისჯის, სოციალურად დაუსველი სამართლებრივ დაუსველობაზე საუბრობს“

ივანე პაპიანი

არაერთი სოციალურად დაუცველი ადამიანი გახლდათ ჩვენი რესპონდენტი. წლების განმავლობაში არ იცვლება მათი მოთხოვნები - საცხოვრებელი ფართი და სოციალური დახმარების შენარჩუნება. უბინაო ბენეფიციარის საცხოვრებელის გამოცვლამ შესაძლებელია, იგი რამდენიმე თვე დახმარების გარეშე დატოვოს. ირინა ხუბუნაიაც სოციალური დახმარების გარეშე დარჩა და განუცხადეს, რომ საცხოვრებელი ადგილის გამოცვლის შემდეგ განაცხადი ხელახლა უნდა შეავსოს. ამ პრობლემას ემატება ისიც, რომ დედის გარდაცვალების შემდეგ აიღო მისი კუთვნილი პენსია და ახლა ამ თანხის უკან დაბრუნებას ითხოვენ. ხუბუნაიას უკმაყოფილება და გაოცება საფუძველს მოკლებული არ გახლავთ - მან არა ქალაქი, არამედ მხოლოდ ქუჩა გამოიცვალა. თუ ახალი განაცხადის შევსების შემდეგ შეუჩერდება დახმარება, პენსიის დავალიანებასაც ვერ გადაიხდის: „იანვარში გარდაიცვალა დედა, თებერვალში პენსია ავიღე. ხორციელები იყო და რა ვიცოდი, პრობლემა გახდებოდა. კი მაგრამ, რომ მოკვდა, იმ თვის ხომ ეკუთვნოდა? კუბოს ფულიც კი არ მომცეს როგორც სოციალურად დაუცველს. ახლა ამ თანხას მედავებთან - დააბრუნეთ, რითი დავაბრუნო, რა გამაჩნია? ისიც მითხრეს, ბანკში წადი და გადაგინაწილებენო. ახლა მეორე უბედურებაც დამემატა - ვცხოვრობ ნაქირავებ ბი-

ნაში, რამდენიმე თვის წინ საცხოვრებელი გამოვიცვალე, ერთი ქუჩიდან მეორე ქუჩაზე დავიქირავე ბინა. ესეც სადავო გახდა - განაცხადი უნდა დაგეწერო. ფოთიდან არ გავსულვარ, ადგილის გამოცვლით მდგომარეობა ხომ არ გამოუმჯობესდა ნეტავი? სხვა შემოსავალი არ მაქვს, სხვა საარსებო წყარო არ გამაჩნია, რა გქნა? ეს პენსიის ფულიც როგორ გადავიხადო? მეუბნებიან, გვიან გაქვს მიტანილი გარდაცვალების ცნობაო. როცა შევძელი, მაშინ გავაკეთე“.

ხუბუნაია წარმოშობით სენაკიდანაა და იქ მამისეული სახლიც აქვს, მაგრამ სახლი დაუსრულებელია და იქ ცხოვრება შეუძლებელია. რის გამოც ქირით ცხოვრობს იმ ქალაქში, სადაც 23 წელი მუშაობდა და შეიღებოდა გახარდა: „სენაკში სახლი მაქვს, მაგრამ დაუმთავრებელია, აწვიმს და ათოვს, იქ ცხოვრება რომ შეიძლებოდეს, ქირით ვიცხოვრებდი? ეს ხომ სხვადასხვა ქვეყანა არ არის, სენაკი და ფოთია. კუთხარი, გადაამოწმეთ, იქაც არ მაქვს საცხოვრებელი- მეთქი. არ ვიცი, რა გქნა. ახლა ქირის ფულსაც ვერ გადავიხდი და იქიდანაც მომიწევს გადასვლა“.

სოციალურად დაუცველი ქალი რამდენი წელია ქირით ცხოვრობს. ახლობლის დახმარებით შეეცადა მესაზღვრეების საერთო საცხოვრებელში, სადაც სოციალურად დაუცველები არიან თვითნებურად შესახლებულები, ერთი ოთახი დაეკავებინა. ოთახის მოსაწესრიგებლად ფულადი დახმარება ახლობელმა გაუწია, თუმცა სანახევროდ გარემონტებული ოთახში



სხვა შესახლად და ხუბუნაია კვლავ უბინოდ და ადგილი ვალით დარჩა: „ახლობელმა 300 ლარი მომცა და ცოტა მოვაწესრიგე ოთახი. ბოქლომი დავეიდე და კარი დავეკეტე. გვიან დამით დამირეკეს და მითხრეს, შენს ბინაში ვილაც არისო. ჩხორწყუდან ჩამოსულ კაცს გაუტეხია და შესახლებულა. კი ვუჩილე, მაგრამ თურმე იქვე უნდა გამოემძახა პატრული. ოთახში სამუშაო იარაღები და სამშენებლო მასალები მქონდა დარჩენილი. ჩემი საქმის გამომძიებელი იყო ხათუნა შამათავა. არ ვიცი, რა მოხდა, მითხრა ყველას ვკითხე და არავინ დამიდასტურა, რომ ის ოთახი შენ გქონდა დაკავებული“.

სხვისი მოცემული ფულიც ვერ ამოვიღე. ასე დამეკარგა ყველაფერი. არ ვიცი, რა გარიგებაში შევიდა მოსამართლე და ის ჩამოსული. ჩემი ამბავი რომ არაფრად არ ჩაავლო მოსამართლემ, ფაქტია. მეც ვკითხე, იყო თუ არა გამომძიებელი მოსული, მაგრამ ის ქალი იქ არავის უნახავს. ამჟამად პროკურატურაშია საქმე. მითხრა, როგორც იმ კაცისთვისაა უკანონო ის ოთახი, ისევე უკანონოა შენთვისო. სოციალურად დაუცველი ვარ და კანონიც ვერ მიცავს“.

დედს ხუბუნაიას მდგომარეობაში არაერთი ბენეფიციარი და თუ სოციალური დახმარების სააგენტო მდგომარეობს არ შეცვლის დაუცველი ადამიანების მიმართ, პრობლემა კიდევ უფრო გაიზრდება.

„გვეხველება რაზე?„

თაქა მამაკაპა ფოთი

„აქმყო შობილი წარსული-საგან, არის მშობელი მომავლისა“ - ასე წერდა დიდი ილია-ერის მამად წოდებული. სწორედ რომ მომავლის განსაზღვრის საუკეთესო გზა წარსულის გასწავლა და აქმყოს გაანალიზება გახლავთ. აქედან მივიღებთ პასუხებს „რანი ვართ? რანი ვიყავით? რანი ვიქნებით?“

საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, მრავალსაუკუნოვანი ისტორიის თითქმის ყველა მონაკვეთი სამაგალითო და საამაყო ჩვენს ერისათვის - უამრავი სახელოვანი მეფე, რომელთა უმრავლესობა წმინდანადაა შერაცხული დედა ეკლესიის მიერ. სანატრელი ეპოქა თუ „ოქროს ხანი“, არა ერთი მოუხებელი ბრძოლიდან გამარჯვებით გამოსული ქართველი მეომრები, უთვალავი გმირი სამშობლოსათვის თავდადებული და მაგალითი მომავალ თაობებს, საზღვრები - გადაჭიმული „ნიკოფსიდან დარუბანდამდე“.

საბჭოთა ეპოქას თუ გავისყენებთ, საქართველო ერთ-ერთი წარმატებული, მოწინავე და განვითარებული გახლდათ და სხვა 15-ს შორის. როდესაც წარსულს თვალს გადავაფარებთ, დაუფერებელია, რომ იმ ქვეყანაზე საუბარი, სადაც ახლა ვცხოვრობთ, ვინაიდან, ძნელია გათვითცნობიერება, რატომ იქცა განვითარებად ქვეყნად, ჩამორჩენილი ეკონომიკით და ინერტული საზოგადოებით, როდესაც ჯერ კიდევ მე-12-ე საუკუნეში რენესანსის ქვეყანა იყო. როდესაც, ილია-პარაკო საკუთარ წარუმატებლობაზე, დამარცხებასა თუ არაერთ დამცირებაზე, მაგრამ მდგომარეობის გამოსასწორებლად აჯობებს, თვალს გაუწვდომოთ რეალურს, „მოყვარეს პირში ვუძრახოთ“ და არ ვიყოთ სირაქლემას მდგომარეობაში. საინტერესოა პარალელის გაკლება წარსულსა და აქმყოს შორის. როგორი იყო მაშინდელი მმართველობა და ფოთი? ამაზე სასაუბროდ ისტორიკოს ალექს გვასალიას მივმართეთ:

„ნიკო ნიკოლაძის სახელი დაკავშირებულია 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნასთან. 1917 წლის რევოლუციის შემდეგ, ნიკოლაძე პეტერბურგიდან საქართველოში დაბრუნდა და ყველანაირად ცდილობდა, დამოუკიდებლობის აღდგენისთვის სიტუაცია მოემზადებინა. მისი უშუალო მონაწილეობით დაარსდა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია და თავად იყო ამ პარტიის საპატიო თავმჯდომარე. ნიკოს დიდი გამოცდილება ჰქონდა კავკასიის მხარეში თურქეთთან მოლაპარაკებაში. რუსეთ-თურქეთის ომის დროს გამოცემა „გოლოსის“ კორესპონდენტი იყო. ამ გამოცდილების და თავისი კონტაქტების გამო, 1918 წელს, გაზაფხულზე, ნიკოლაძე დააკავი ჩხენკელი ბათუმში გაემგზავრნენ. უკვე არსებობდა მხარდაჭერა გერმანიის მხრიდან დამოუკიდებლობის გამოცხადებლად, მხოლოდ თურქეთთან ზავი იყო საჭირო. ნიკოლაძე 25 მაისს

ბათუმიდან წერდა კორდონიას, არ გადაელო დამოუკიდებლობის გამოცხადება. დამოუკიდებლობის ტექსტი ნიკო ნიკოლაძემ შეადგინა, 26 მაისს ხელი მოაწერეს ზავს თურქეთთან. ერთ საათში კი თბილისში დამოუკიდებლობის აქტი წაიკითხეს. ასეთ ვითარებაში გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისს. ორი დღის შემდეგ ფოთში გერმანიასა და საქართველოს შორის ხელშეკრულებას მოეწერა ხელი, რომლის ძალითაც გერმანიამ ფაქტობრივად სცნო საქართველოს დამოუკიდებლობა.

მაშინდელი კანონმდებლობა ყველას არ აძლევდა არჩევნებში მონაწილეობის უფლებას. უნდა ჰქონოდა ე.წ. - ქონებრივი ცენზი, რადგან იყო მეტი თავისუფლება, იყვნენ ქალაქის გულშემატყვიანნი. რუსეთის იმპერიას მიანდა, რომ საარჩევნო უფლება ყველას არ უნდა ჰქონოდა, მაგალითად ქალებს. შეზღუდული იყო საზოგადოებრივი ფუნქციონირების პროცესი გახლდათ. თანდათანობით შეიცვალა, უფრო დემოკრატიული გახდა. ჯერ იყო ვახრამიძე, ოთხი წლის შემდეგ თავდგირიძე, რომელზეც უფრო დიდ იმედებს ამყარებდნენ, მეტი თავისუფლების განცდა იყო, არ მიმდინარეობდა ზემოქმედება ცენტრიდან. ფოთი ქუთაისის გუბერნიაში შემავალი ნაწილი გახლდათ, მაგრამ ქუთაისზე ნომინალური დამოკიდებულება იყო, სანავსადგურო, საზღვაო სპეციფიკის ქალაქს ჰქონდა თავისი დამოუკიდებლობა, არ იყო ხეწოლა ცენტრიდან. ახია დავსამენ ქალაქში მმართველ პოზიციებზე ადამიანებს და თავისუფლება შეზღუდული იქნა გადაწყვეტილების მიღებისას, გარკვეულწილად ვიდრე უფრო ახიან წამყვანი პარტიების წინაშე. ნაიკეტიანი კაბინეტებში და არ გადადიან ოთხი წლის განმავლობაში ხალხში, მაშინ უფრო დემოკრატიული დამოკიდებულება იყო, მაშინდელი პოლიტიკოსები ნამდვილად ზრუნავდნენ თავის ქალაქზე და ამით განპირობებული, ჯერ ვახრამიძე აირჩიეს და შემდგომ თავდგირიძე. მერე ნიკო ნიკოლაძე ხმოსნებმა - გიგო დიდიამ, იონა მეუნარვამ, კოტე მთაბერძენიმ მოიწვიეს. მას ბავშვობიდან ჰქონდა ფოთთან კავშირი - მამას ხშირად ჩამოეყვანა აქ დიდი ნიკო თვლიდა, რომ ფოთი იყო ინტერნაციონალური, კოსმოპოლიტი ქალაქი, სადაც დაპირისპირება გვარებს, კლანებს შორის ხშირი იყო. ეს თვისება დამახასიათებელი გახლდათ საპორტო ქალაქებისთვის - ზღვას მოაქვს კოსმოპოლიტიზმი.

თვითმმართველობა აქტიური გახლდათ, თავისუფლების როლი მეტი იყო. სანკტ-პეტერბურგი შორს იყო და მეტი თავისუფლება ჰქონდათ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. რა არის თვითმმართველობა? ესაა ბიუჯეტი, მისი ფორმირება, რაშიც ქალაქი უნდა ჩაერთოს. ფაქტობრივად, ეს ქალაქი თვითმმართველობაა ააშენა. იმ დროინდელმა საკანონმდებლო ცვლილებებმა, რაც ნიშნავს დემოკრატიულ მმართველობას, რომელიც ბატონ-ყმური მმართველობის გაუქმების შემდეგ მიიღეს, ხომ უნდა ემართათ ქვეყანა.

ეს განახორციელა ნიკოლოზ პირველმა და შემდგომ გამოიყენა ალექსანდრე მეორემ. თვითმმართველობები, საერთოდ ისეთი ფორმაა, ყოველთვის უნდა განიცდიდეს განახლებას და არა როგორც ახლა ხდება - ჩატარდება არჩევნები, აირჩევა ხალხი მისთვის სასურველ კანდიდატს, რომელიც ვალდებულია დიდიხანით იკეტებინა კაბინეტში. ამ დროს ცხოვრება წინ მიდის, პროცესები ვითარდება თვითმმართველობა კი უკან რჩებათ. ევროპის წამყვანმა ქალაქებმა უარი თქვეს თვითმმართველობაში ხალხის დაფინანსებაზე - ესე იგი, ხმოსნები თვითმმართველობაში მიდიან საზოგადოებრივ საწყისებზე ირჩევენ ხალხი თვითმმართველობას და ხელფასს არ იღებენ, მხოლოდ თავმჯდომარე და მდივანი, რომლებსაც უწევთ ძირითადად საბუთებთან ურთიერთობა“.

საინტერესოა, თანამედროვე საკრებულოს წევრის მოსახრება თანამედროვე მმართველობის შესახებ და წარსულ-აქმყოს პარალელზე. აბაშის საკრებულოს მოადგილე გელა ხოშტარია როგორც გვეუბნება: „ჩვენ მაშინდელი 1921 წლის კონსტიტუცია 21 თებერვალს მივიღეთ, 25 თებერვალს შემოვიდა. რეალურად, 21 წლის კონსტიტუცია ფურცელზე დაგვრჩა. ექსპერტები, მეცნიერები აღიარებენ, რომ იმ დროისთვის ყველაზე მაღალ დონეზე და დემოკრატიულად შესრულებული კონსტიტუცია იყო. პრაქტიკაში როგორი იქნებოდა ეს კონსტიტუცია, არავინ იცის, არ გამოვიცვლია. მე, როგორც ისტორიკოსს, სამართალმცოდნეს, კონსტიტუციონალისტს მეტად მექნებოდა შეფასების საშუალება. ახლა ჩვენ შეიძლება ვისაუბროთ ამერიკის კონსტიტუციაზე - 1787 წელს მიიღეს, 4300 სიტყვაა მასში, 200 წელზე მეტია, არსებობს და ამ წლების განმავლობაში მხოლოდ 27-ჯერ შეიტანეს შესწორებები. ჩვენ გვანახა ამერიკის კონსტიტუციამ, რომ ის ხესახელმწიფოა, რომელიც მაშინდელი კონსტიტუციით ხელმძღვანელობს და შეფერხება არ აქვს. ბრიტანეთის კონსტიტუციაც ძველია. რა ხდება ჩვენთან? გვაქვს 21 წლის კონსტიტუცია, 25 წლის, 37 წლის, 78 წლის 15 აპრილის და 95 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციები. საუბარია 6 კონსტიტუციაზე აქედან პირველი არ ვიცით და დანარჩენი საბჭოური იყო. 95 წლის კონსტიტუციაში ზვიად გამსახურდიას დროს მთელი რიგი ცვლილებები შეიტანეს. რაც შეეხება მმართველობის ფორმებს - ჩვენ კლასიკური სახელმწიფო გვექონდა, რასაც საპრეზიდენტოს ეძახიან. 21 წლის კონსტიტუციის დროს იყო საპარლამენტო მმართველობა. ჩვენი ეთნოფსიქიკოსების, ჩვენი ერისთვის ძალიან დემოკრატიული მმართველობაა საპარლამენტო მმართველობა“.

არავის ძრახვა არ მიმანია გამართლებულად. რეალურად უნებურად გვიჩენს პესიმიზმს. რას აკეთებს, რას მოქმედებს დღეს საზოგადოება? რა ჭირს საქართველოს, ქართველ ერს რაშია ამ რეგრესიდან თავის დაღწევის გამოსავალი, როდის ჩამოვყალიბდებით ისევ სააკიო ვრად.

კითხვებზე პასუხებს ვერ ვპოულობ. „გათითოკაცებული“ საზოგადოება გულს ასკდება. არ ჩანს საშველი. ვსხედვართ და ვიმეორებთ - „გვეშველება რაზე?“ პოეტის სიტყვებს დავესხებები - „ჯვარს ეცვი თუ ვინდა, საშველი არ არის“

ბლიც ინტერვიუ ტარიელ სუარი: „სიყვარული ღმერთია,„



რუბრიკა ბლიც ინტერვიუს სტუმარია ცნობილი მუსიკოსი ტარიელ სუარი.

მინი დოსიე: დაიბადე 1976 წელს, გავიზარდე 2018 წლამდე, 2096 წელს, 120 წლისა რომ გავხდები, გავმართავ ბოლო სოლო კონცერტს და 2099 წელს, 123 წლისა დაგტოვებთ, დაეუთობო ადგილს მომავალ თაობას.

- დაახსიათ თუ საკუთარი თავი სამი სიტყვით
- მიზანდასახული, მიზანდასახული, მიზანდასახული
- საიდან იწყება თქვენთვის დედამიწა
- სინამდინა..
- მუსიკა თქვენს ცხოვრებაში
- ნარკოტიკი
- მიზანი
- გამარჯვება ყველაფერზე
- მიღწევა
- ვარ ერთადერთ დედამიწაზე, რომელიც მუსიკას ასწავლის ყრუებს
- ოცნება
- ჭეშმარიტების შეცნობა
- ღირსება და ნაკლი
- წინდახედულება ორივე შემთხვევაში
- რას შეცვლიდით ცხოვრებაში
- ჩემს ერთ-ერთ სახელში შიდა კარი არ მომწონს და იმას გამოვცვლიდი.. რათქმა უნდა ვხუმრობ, არაფერს შეცვლიდი.
- პობი (ჭადრაკის გარდა)
- ფიტნესი
- ტყუილი და თქვენ
- მძულს
- რისი გეშინიათ
- ღმერთის
- რამ შეიძლება აგაყვიროთ
- ქალის ჩაგვრამ
- აკვირებული ფრაზა
- რასაცა გაცემ შენია, რაც არა დაკარგულია
- რამდენად აზარტული ხართ
- 45 პროცენტით
- საყვარელი სასმელი
- მათეინი, ნარკოტიკის გარეშე
- კერძი, რომელსაც საყვარელ ქალს მოუმზადებთ
- აზრი არა აქვს, შემომეჭმევა
- ვიგნი, რომელიც ბოლოს წაიკითხეთ
- თამთა მოწონელების „ებრაელი“
- როგორი მეგობარი ხართ
- წარმოდგენა არ მაქვს
- ქერა თუ შავგვრებიანი
- წითურიც, მულატიც და იაპონელი მეგობარი გოგონაც მყოლია, ჩემი ტაკიკო, ეკ, რაც იყო, იყო
- დალატი (რა ასოციაციას იწვევს თქვენში ეს სიტყვა)
- უნდობლობას
- სიყვარული
- ღმერთია
- ოჯახი
- სრულიად საქართველო
- როგორ წარმოვიდგენიათ საკუთარი თავი 20 წლის შემდეგ
- ვისაუბრებ 7 ენაზე.
- რას ნანობთ
- რომ ყველას გაბედნიერება ვერ მოვასწარი
- მხატვარი რომ იყოთ რას დახატავდით
- მხოლოდ ქალს
- გრძნობა რომელიც ამ წამს გაქვთ
- ცნობისმოყვარეობა

ფოთელი მოკრივეები საბა ტყეპურავა და ირაკლი ჯანელიძე ევროპის ჩემპიონები გახდნენ

ბულგარეთის ქ. ალბენაში კრივში 2004 -2005 წლებში დაბადებულ მოკრივეებს შორის ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს ნაკრებმა იასპარეზა.

საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ფოთელი მოკრივეებიც მონაწილეობდნენ. ფოთელი საბა ტყეპურავა 44,5 კგ წონით კატეგორიაში ევროპის ჩემპიონი გახდა. ხოლო მოკრივეთა ნაკრები გუნდის წევრმა დემურ ქაჯაიამ ნახევარფინალური ორთაბრძოლის მეორე რაუნდში დაამარცხა უნგრელი მეტოქე და გაინაღდა მინიმუმ ვერცხლის მედალი და გავიდა ევროპირველობის ფინალში. რაც შეეხება მოკრივეთა კლუბ ლიდერის მეორე მოკრივეს ირაკლი ჯანელიძეს, ის შეჯიბრების დღეებში გამართულ ბრძოლის შემდეგ მინიმუმ ბრინჯაოს მედლის მფლობელად მოიაზრებოდა, მაგრამ ჯანელიძემ კრივის ყველა გუნდში მონაწილეობა და 65 წონით კატეგორიაში მეორე ოქროს მოიპოვა.

საქართველოს ნაკრები გუნდი ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებას გადიოდა ფოთში, რომლის მთავარი მწვრთნელი გახლდათ ლაშა ოჩიგავა, ხოლო მწვრთნელები თემურ ოჩიგავა და იროდი გრემელაშვილი.

მშობლიურ ქალაქში დაბრუნებულ ევროპის ჩემპიონებს სახეიმო დახვედრა გაუმართეს როგორც ადგილობრივმა ხელისუფლებამ ისე თანატოლებმა და სკოლების ადმინისტრაციამ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიამ გამარჯვებულ მოსწავლეებს სიგელები და ფულადი ჯილდო გადასცა.



ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ფოთელმა ნიკოლოზმა საუკეთესო შედეგი აჩვენა

საფრანგეთის ქალაქ გრავლინში ჩატარდა 2018 წლის ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატი აკადემიურ ნიხოსნობაში, სადაც ევროპის 16 საუკეთესო ნაკრები გუნდი მონაწილეობდა.

ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ფოთელი ნიხოსნებიც ასპარეზობდნენ. ზაურ ჩერნიშოვმა და ზურაბ კინტირაიამ ორადგილიანი წყვილმოსასმელიანი ნავით ფინალში მე-1 ადგილი დაიკავეს, საერთო ჩათვლაში მე-11 ადგილი.

ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ნახევრები დრო 6:46, ბოლო 25 წლის განმავლობაში საუკეთესო შედეგი გახლავთ.



სპორტი

ფოთელი ხელბურთელები ზონალური პირველობის გამარჯვებულები გახდნენ

28-29 მაისს წყალტუბოს სპორტის სასახლეში გაიმართა სასკოლო სპორტული ოლიმპიადის პროგრამით გათვალისწინებული ზონალური პირველობა ხელბურთში გოგონათა და ვაჟთა შორის, სადაც მონაწილეობას ღებულობდნენ გურიის, იმერეთის, აჭარის და ფოთის 2 საჯარო სკოლის მოსწავლეები. ფოთელთა სასახლეოდ უნდა ითქვას, რომ მათ წარმატებით იასპარეზეს როგორც გოგონათა და ვაჟთა ასპარეზობაში და გახდნენ ზონალური პირველობის გამარჯვებულები და მოიპოვეს ფინალურ ეტაპზე მონაწილეობის უფლება, რომელიც გაიმართება 26-28 ივნისს, თბილისში. ლად. ქილიკის გარეშე.

სამეგრელოს ღია ჩემპიონატი ტაეკვანდოში

27 მაისს ზუგდიდში ჭითაწყარის სპორტის სასახლეში გაიმართა სამეგრელოს ღია ჩემპიონატი ტაეკვანდოში 2004-2010 წ.წ. დაბადებულთა შორის, სადაც მონაწილეობას ღებულობდა ზუგდიდის, ხობის, ფოთის, აბაშის, სამტრედიის, ქუთაისის, წყალტუბოს, კასპის, ზესტაფონის, თბილისის, რუსთავის, მარნეულის გუნდები. აღნიშნულ პირველობაზე წარმატებით იასპარეზეს ფოთელმა სპორტსმენებმა, რომლებმაც მოიპოვეს 3 - I, 5 - II და 4 - III ადგილები.

- I ადგილი - ელუარდ წულაია - 27 კგ წონითი კატეგორია
- I ადგილი - დავით გუჯაბიძე - 33 კგ წონითი კატეგორია
- I ადგილი - ცეზარ ჯიშკარიანი - 40 კგ წონითი კატეგორია
- I I ადგილი - ელენე ბერაია - 37 კგ წონითი კატეგორია
- I I ადგილი - დავით მირცხულავა - 30 კგ წონითი კატეგორია
- I I ადგილი - აკაკი გოგუა - 27 კგ წონითი კატეგორია
- I I ადგილი - ლაშა წურწუშია - 57 კგ წონითი კატეგორია
- I I ადგილი - დავით ჯიშკარიანი - 40 კგ წონითი კატეგორია
- I I I ადგილი - ზურაბ მაკალათია - 33 კგ წონითი კატეგორია
- I I I ადგილი - ნიკოლოზ გოგია - 21 კგ წონითი კატეგორია
- I I I ადგილი - აკაკი კოსრეიძე - 27 კგ წონითი კატეგორია
- I I I ადგილი - გურამ გურული - 33 კგ წონითი კატეგორია

ფოთის ღია პირველობა თაივისუფალ ჭილაობაში

27 მაისს ჭილაობის დარბაზში გაიმართა ფოთის ღია პირველობა თაივისუფალ ჭილაობაში 2004-2006-2008 წლებში დაბადებულ მოჭიდავეთა შორის, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ: ქუთაისის, ბაღდადის, სამტრედიის, ლანჩხუთის, ზუგდიდის, ოზურგეთის, ჩოხატაურის, ჯვარის, წაღუნის, აზერბაიჯანისა და ფოთის ნაკრები გუნდები, სადაც ფოთელმა მოჭიდავეებმა მოიპოვეს 6 - I ადგილი, 4 - II ადგილი და 4 - III ადგილი. მწვრთნელი ავთანდილ კოპალიანი.

- I ადგილი:
 - გია გოგატიშვილი - 20 კგ წონითი კატეგორია
 - ნიკოლოზ ხინთიბიძე - 26 კგ წონითი კატეგორია
 - ბესო შენგელია - 29 კგ წონითი კატეგორია
 - ილია გოგატიშვილი - 32 კგ წონითი კატეგორია
 - ლუკა გადელია - 47 კგ წონითი კატეგორია
 - ზვიად ჯაღალანია (დიდებს შორის) - 42 კგ წონითი კატეგორია

- II ადგილი:
 - მათე თუნთია - 20 კგ წონითი კატეგორია
 - თორნიკე ხოჭოლავა - 26 კგ წონითი კატეგორია

- III ადგილი:
 - საბა კუჭავა - 20 კგ წონითი კატეგორია
 - ბორის ჩადუნელი - 23 კგ წონითი კატეგორია
 - ზურაბ ბებია - 26 კგ წონითი კატეგორია
 - საბა კუმარტოვი - 38 კგ წონითი კატეგორია

როგორ გააქართო შეხვედრა: 14 შესანიშნავი იდეა

ზაფხული შესანიშნავი დროა, დაკავდეთ იმ საქმეებით, რაც ზამთარში ვერ მოასწავართ. მზადება კი ახლავე უნდა დაიწყოთ.

1. შეხვედით ოჯახს

შეიძლება ეწვიოთ არა მხოლოდ მშობლებს, დებსა და ძმებს, არამედ საყვარელ დეიდას ან ბებიას.

2. მიიღეთ ვიტამინი

ზაფხულის მზე მხოლოდ რუჯს არ უკავშირდება, ის სასარგებლოა ჯანმრთელობისთვისაც.

3. დაკავდით სპორტით ჰაერზე

შეგიძლიათ ივარჯიშოთ ეზოში, ითამაშოთ მაგიდის ჩოგბურთი, ისეირნოთ ველოსიპედით - იდეა ბევრია. დაკავდით ფიტნესით

4. დააგემოვნეთ ყველანაირი ნაყინი

ყველა, რომლებზეც ხელი მიგიწვდებათ.

5. დაკავდით პარკში იოგითა და მედიტაციით

აუცილებელი არ არის, რომელიმე მათგანში განსწავლული იყოთ. ინტერნეტში უამრავი ვიდეორგოლის მოძიება შეგიძლიათ. იოგა საუკეთესო რელაქსია

6. გაატარეთ რამდენიმე დღე ინტერნეტის გარეშე

შეგიძლიათ გააუქმოთ კიდევ ყველა აქაუნთი ან უბრალოდ, არ შეხვიდეთ რაც შეიძლება დიდხანს.

7. გამოიძინეთ

ბოლოს და ბოლოს, აინახაურეთ ზამთარში ყველა დაკარგული საათი.

8. ეწვიეთ ბარს სახურავზე

9. გაიჩინეთ ახალი ჰობი

10. მოიწვეეთ ხანმოკლე მოგზაურობა

ჩაჯექით მანქანაში ან მატარებელში და მოინახულეთ ადგილები, რომლებიც მხოლოდ ფოტოებზე გინახავთ.

11. შეხვედით ძველ მეგობრებს

დროა, თავი შეახსენოთ მეგობრებს და შეხვედეთ მათ.

12. იკითხეთ მეტი

და მიიღეთ სიამოვნება.

13. ახლა კი საქმეს შეუდგეთ

რათა ისევ არ გქონდეთ განცდა, რომ დაკავებული არაფრით ხართ და ზაფხული უინტერესოდ გავიდა.

14. იარეთ ცურვაზე



გაზეთის ხელმოწერა
საქურადღებოდ!
ერთი ნომრის ღირებულება ორგანიზაციებისთვის
1 წლით - 50 ლარი
6 თვით - 25 ლარი
3 თვით - 12,50 ლარი
კარდაკარის პრინციპით გაზეთის გამოწერა მოქალაქეებისთვის
3 თვით - 6 ლარი
იკითხეთ გაზეთი შედეგები

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში“ სამუშაოდ იწვევს სამეგრელოს რეგიონიდან ყველა ასაკის მქონე ალაშიანებს გაზეთის გამავრცელებლად და სარეკლამო აგენტებად კანდიდატების შერჩევა მოხდება გასაუბრებით. მოგვმართეთ შედეგ მისამართზე: **ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/19 ტელეფონი: 599 34 14 17**

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში“ სტაჟირებაზე იწვევს სტუდენტებს, ახალგაზრდებს რომელთაც სურთ მიიღონ გამოსდილება ქურნალისტიკაში წარმატებული სტაჟირობები დასაქმდებიან გაზეთში. დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ მისამართზე: **ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/19 ტელ: 599 34 14 17**

ისარგებლეთ გაზეთ „მთავარი თემა სამეგრელოში“ შედეგებითანი მომსახურებით, განათავსეთ გაზეთში განსხვავებული რეკლამები, მიღოსვანი. ოჯახის სამგლოვიარო განსხვავებული მიღოსვა - ჩვეულებრივი შრიფტით - ერთი ასო 5 თეთრი, სქელი შრიფტით - 7 თეთრი, პირველ გვერდზე - ორგანიზაციის, სურათიანი განსხვავებული: სამგლოვიარო - 15 ლარი, მიღოსვა - 10 ლარი, არაპოლიტიკური რეკლამა: მესამე გვერდზე - მთლიანი გვ. (100სმ2) - 150 ლარი, ნახევარი (500 სმ2) - 75 ლარი; მეოთხედი (250სმ2) - 37.50 ლარი; მეხუთე გვერდზე: მთლიანი გვ. - 130 ლარი; ნახევარი - 65 ლარი; მეოთხედი 32.50 ლარი. პირველ გვერდზე რეკლამა ხუთჯერ ძვირია, ვიდრე მესამე გვერდზე, ბოლოში - სამჯერ ძვირია ვიდრე მესამე გვერდზე. პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორგანიზაციის მკაცრად რეგულირდება და ხელმოწერაზე და ხელმოწერაზე გათვალისწინებულია ფასდაკლება. გაზეთის გამომცემის მსურველებმა მიმართეთ სამეგრელოს რეგიონალური გამოსვლის ოფისს. ქ. ფოთი, წმ. ნინოს ქ. 3/ 2 ტელ: 0(493) 22-40-50; 5(99) 34 14 17.

შედეგები თქვენი პრობლემების კვლადაკვალ

® ნიშნით აღნიშნული სტაგეები იბეჭდება რეკლამის უფლებით.